6 (18) დეკემბერი 1868.

№ 49.

მესამე წელიწადი.

გაზეთის ფასი

გაგზავნით ტფილისში და გარე ადგილებში:
ერთის წლისა — 7 მან.
ნახევარის წლისა — 4 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.

გაუგზავნელათ:
— — — 6 მან,
— — — 3 — 50 კ.
— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში; ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი:

განათლების მინისტრის ცირკულიარი სახელოსნო შკოლების გამართვაზე ტფილისის ყაზანის გუბერნიაში.—ტფილისის ამბები.—სამეცნიერო ცნობანი.—ტელეგრამმები.—სასამართლო და პოლიცია.—ნობათი № 2.—სახაზინო განცხადება.—კერძოობითნი განცხადებანი.—ბიბლიოგრაფიული ცნობა.

სახალხო განათლების მინისტრის მიწერილობა (ცირკულიარი) ყაზანის სამოსწავლო მაზრაში სახელოსნო შკოლების დაწესებაზე და გამრავლებაზე რუსეთის იმპერიაში.

ცირკულიარშია მოხსენებული: „რუსეთში სწავლის კარები დიდი ხნიდგან არის ყველასთვის გაღებული, ვინც კი ისურვებს სწავლასა. უეჭველია ამას შემდეგაც ისე იქნება. მაგრამ არ შეიძლება, კაცმა არ შენიშნოს, რომ ბევრნი ამ განათლებით სარგებლობენ, როგორც რიგია, და ზოგნი კი თითქოს ძალდატანებით იღებენ სწავლას და ვერ სარგებლობენ კი იმითა თავის ცხოვრებაში და ამათთვის სწავლაზე მოხმარებული დრო თითქმის დაკარგულია. ამის მიზეზი სახელოსნო შკოლების უქონლობაა ყოველგან, გარდა სატახტო ქალაქებისა და ზოგიერთ გუბერნიის ქალაქებისა; და ამისთანა შკოლები კი ძალიან საჭირონი არიან ბევრს შემთხვევაში:

1) ამ ჟამად ყველა გიმნაზიები მოწაფეებით გავსებულნი არიან და ამან აფიქრებინა მმართებლობას პროგიმნაზიების გახსნა, ესე იგი ნახევარი გიმნაზიებისა, ანუ პირველი ოთხ კლასიანი სასწავლებლების გახსნა. რასაკვირველია ამ შკოლების გახსნა არ დაგვეჭირდებოდა, ქალაქებში რომ სახელოსნო შკოლები იყოს გამართული. ახლა ყველა ცდილობს გიმნაზიაში მისცეს თავის ყმაწვილი იმისთვის კი არა, რომ ის საჭიროებდეს გიმნაზიაში სწავლა შეასრულოს, არამედ იმისთვის რომ სხვაგან ვერსად მიუცია თავისი შვილი სასწავლებლათ. ამის გამო გიმნაზიაში ბევრნი არიან მოქალაქის, სალდათისა და გლეხის შვილებიცა. აქედგან გამოდის, რომ ყმაწვილების მშობლები ვერა ხედავენ განათლების საჭიროებას და რადგან ოჯახობაში ხელი აკლიათ, ამისთვის რამოდენსამე ხანს შემდეგ უკანვე გაჰყავთ თავისი ყმაწვილები. ეს ყმაწვილები გიმნაზიებს მხოლოდ უშლიან: სწავლას ვერ ასრულებენ, რადგან მშობლები არ აცლიან; იმათთვის უნდა გამართონ ცალკე კლასები, ყურის გდება მეტი უნდა და შრომის გარდა ხარჯიც ბევრია.

2) ხელოსნობა ჩვენში არ არის გავრცელებული და ეს ძალიან ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის გამდიდრებასა. რუსეთში ბატონყმობის დროს ძვირად იქნებოდა იმისთანა მებატონე, რომელსაც შინ არა ჰყოლებოდა ვინმე ხელოსანთაგანი (ან დურგალი, ან ხურო, ან კალატოზი და სხვ.), ზოგს მთელი სახელოსნოც ჰქონდა გამართული. როდესაც ბატონყმობითი დამოკიდებულება გაუქმდა, ეს ხელოსნები ჩამოეცალნენ მებატონეებს და წავიდნენ სატახტო ქალაქებში, სადაც დადგნენ მოჯამაგირეებათ სახელოსნოებში. ამ სახით შიგა-და-შიგ მხარეს სრულებით მოაკლდნენ მოხელეები. აქედგან სჩანს, რომ გუბერნიებში და უეზდებში სახელოსნო შკოლები რომ გაიმართოს, დიდი სასარგებლო რამ იქნებოდა სახელმწიფოსათვის თვითონ გამოზდილ ხელოსნებისათვისაც, რადგან კარგს ხელფასს აიღებდნენ და იმათთვისაც ვინც დაიქირავებს იმათა, ამიტომ რომ მაშინ შორს სატახტო ქალაქიდგან აღარ დასჭირდებოდათ საჭირო ნივთების დაბარება და ამის გამო მეტი ფასი აღარ წაუვიდოდათ.

3) გიმნაზიაში და უნივერსიტეტში დარჩებოდნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც ენდომებოდათ მართლად მეცნიერების მოპოება, და არა შემთხვევით და თავის უნებურათ იქ მიცემულნი. ეს შეამსუბუქებდა ყურადღების ქონებასა და დაუსჯელათ მოიშლებოდა უწესოებანი იმითი, რომ დედმამის სურვილით ყმაწვილები დარიგდებოდნენ თვის თვის შესაფერს და გამოსადეგს სასწავლებლებში. უფ. სახალხო განათლების მინისტრმა თავს იდვა, ზემოხსენებულნი მოსაზრებანი მის დიდებულებას ხელმწიფე იმპერატორისთვის ეცნობებინა და უეზდის სასწავლებლების გადაკეთების დროს კარგი იქნებოდა, ფიქრობს მინისტრი ამა საგნებზე მიექციათ ჯეროვანი ყურადღება შინა საქმისა და ფინანსის მინისტრებსა, რადგან სახელოსნო შკოლები უფრო იმათ უნდა ექვემდებარებოდნენ, ვიდრე განათლების მინისტრსა.

ხელმწიფე იმპერატორმა ამ მოხსენებას ზედ დააწერა: სრულებით თანახმა ვარ ამა აზრისა.

ამ გადაწყვეტილების ასასრულებლათ სახალხო განათლების მინისტრმა აცნობა შინა საქმისა და ფინანსის მინისტრსა, რომ იმათ თავის განკარგულება მოახდინონ ზემოხსენებული აზრის ასასრულებლათ; ამასთანავე ყაზანის სამოსწავლო მაზრას სთხოვეს, რომ ისინი შეეწიონ ამ საქმეს იმდენათ, რამდენათაც იმათგან არის შესაძლებელი.

რაც ზემოთ არის მოხსენებული, ყველა ესე ეცნობა რა ყაზანის სამოსწავლო მაზრასა ასასრულებლათ, ამასთანავე დირექტორებსაც მიეცათ ბრძანება, რომ ყოველს შემთხ-

---

ნობათი

№ 2

განათლების მთესავნი.

საკვირველად კარგ დროს მოვესწარით! ყველანი განათლდნენ, სიკეთეში ჩავარდნენ, რიგიანობა შემოვიდა, რაც მამასა და პაპას არ გაეგონა და ენახა, ყველა ენახეთ და გავიგონეთ. სულითა და გულით მოსვენებულ ცხოვრებაში ვართ. მაგრამ დახედე ჩვენს უბედურებას! გამოდიან თითო ოროლა ვიღაცაები, ყველა ფერზე ცხვირს იწევენ, არ მოსწონთ, პირში გვეუბნებიან, დაგვცინიან და ისე გამოვყევართ, თითქოს ჩვენში არც კეთილშობილური სისხლი იდგეს, არც პატიოსნება ვიცოდეთ, არც ადამიანის სიყვარული და შებრალება გვქონდეს, თითქოს ქვეყანას ჩვენა ვჭამდეთ; ისე გამოვყევართ თითქოს ადამიანის სისხლის მსმელნი ვიყოთ. ჭეშმარიტათ გასაკვირველია! ერთი მოდით და ჰკითხეთ, თუ რამიზეზია ამისა? რა პასუხს მიიღებთ ამ გვარ ჭეშმარიტების მოყვარე კაცებისაგან იცით თუ არა? მაშინვე გეტყვიან, რომ ადამიანობა უნდა იცოდეთო, კაცის გრძნობა უნდა იქონიოთო, კეთილი გულიო და ბოლოს უმეცრობას, გაუნათლებლობასაც კი დაგვწამებენ, თუნდა რომ ცხრა შკოლაც გამოგვეელოს.

მიზეზი კი სწორეთ გითხარ შურია. ჩვენი განათლებულები რიგიანათა ცხოვრებენ, თავის საქმეში ნელ ნელა წინ მიდიან, ჯამაგირს იღებენ რიგიანათა, ზოგიც ისე შემოსავალი . . . . . . აქეთ . . . . უფროსების მონები და მორჩილები არიან; ღმერთიც ამიტომ ხელს უმართავს. ცოლშვილი კარგათ გამოჰყავთ; ლუკმა პური მოუკლებლათა აქვთ.— ამის შოვნას დიდი შრომა უნდა,—მოთმინება, ცდა და დაუღალავი ბეჯითობაა საჭირო. იმდენი დღეგრძელობა თქვენა და მე, რამდენი უსიამოვნობაც მოსდევს ამასა, მაგრამ რა უყოთ, ლუკმა პურის გულისა. თვის, ცოლშვილის გულისათვის კაცმა ყველა უნდა მოითმინოს. ვთქვათ ვაჭარმა უფროსმა რომ გითხრას, დო შავიაო; უნდა თქვა, დიახ შავია; ხელმრუდე ქურდზედა როგითხრას, პატიოსანი კაციაო, შენც უნდა დაეთანხმო, გაუმეგობრდე იმ კაცსა და დაიმეგობრო. იქნება სვინიდისი გამხილებდეს, მაგრამ რა უყოთ; შიმშილი განა კი უკეთესია სვინიდისზე. ის ოხერხიდა კაცები არიან, რომ სვინიდისის სიწმინდისათვის ლუკმასა ჰკარგვენ და იძახიან; „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“.

აი ეს ახალი ჯურისკაცები რომ გამოვიდნენ, ესენი იძახიან და ქადაგებენ, რომ სვინიდისი უნდა ირჩიოს კაცმაო. უფრო სჯობს ადამიანმა სწავლა ნამდვილი მიიღოსო, რომ იცოდეს ლუკმის მოპოებაცაო და სვინიდისის შენახვაცაო. მოდი და ახლა ამ სიბერის დროს ამისთანა ფილოსოფიის სწავლას მოჰყევი.—

ახლა ამ კაცებს უნდათ დაგვარწმუნონ, რომ ვითომ ნამდვილი განათლებაც არ მიგვეღოს. აბა მიიხედ-მოიხედოთ რამდენი ჰექიმები გვყავს, სწავლის მომფენნი, კანონების მცოდნე, ესე იგი იურისტებს რომ ეძახიან ახალის ენითა, რომელი ერთს მოვყვეთ. როგორ ავრცელებენ ისინი სწავლასა, განათლებასა! თავიანთის ხელობითა. აი, ექიმები ჩვენში ადრე და ადრე არა სწამდათ; მკითხავებს და ფერშლებს უფრო ენდობოდნენ, ვიდრე ექიმებსა; ეს ამათ მორწმუნება და შიში, რასაკვირველია, გაუნათლებლობის ნიშანია. ეხლა უფრო და უფრო ექიმებს ენდობიან მაშასადამე განათლება ჩვენს ხალხში თან და თან შემოდის და ერცელდება. აი ამითი კი შეგვიძლია ჩავაჩუმოთ ეს მომდურავი ხალხი.

წვრილი ამბები.

ექიმის გულმავიწყობა. ერთი რუსული სატირული (სატირა ნიშნავს სასტიკ დაცინვასა) სატირული ჟურნალი „ნაპერწკალი“ Искра) გვიამბობს ერთს ამბავს. ერთ ავათმყოფს ექიმმა დაუწერა წამალი. საღამოს ავათმყოფმა ექიმის დარიგების და გვარათ მიიღო წამალი. ავათმყოფი ცუდათ შეიქნა და სატკივარმა უმატა. დაიმედებულმა რამდენსამე ხანს შემდეგ მეორეთ მიიღო წამალი მაგრამ სატკივარი უფრო და უფრო მოუხშირდა, ისე რომ ავათმყოფი ძალიან ცუდათ შეიქნა. წამალს თავი დაანება და მოთმინებას მისცა თავი, სანამ ექიმი მოვიდოდა. მოვიდა თუ არა მკურნალი, ავათმყოფმა უამბო, ღამე რა მდგომარეობაშიაც გაატარა. ექიმმა მოითხოვა წამალი და თავისი დაწერილი რეცეპტი. გადიკითხა, გადიკითხა და შუბლზე ხელი დაიკრა: „შენ ჩემო თავო, რა მომსვლია, გულმავიწყობით რა დამიწერიაო“.

ამაზე უკეთესი ამბავი ჩვენში მოხდა. ერთი ღარიბი ხარაზი კარგა ავათ შეიქმნა; ცოლმა მაშინათვე ექიმი მოიყვანა და ამან რეცეპტი დაუწერა, დარიგება მისცა ეს წამალი ასე ასითო და ხვალ დილით კიდევა ენახამო. ცოლმა საჭმლისა ჰკითხა,—ბატონო დოხტურო, ლობიო წვნათ ეჭმება.

ექიმმა საშინლათ დაუშალა: „ა.. პა.. პა.. როგორ შეიძლება“! ნაღვლისაგან გონება დაჰფანტოდა დედაკაცს და ჰკითხა კიდევა:

— მაშ ბატონო კირკაჟი ხომ შეიძლება?

— შეიძლება, შეიძლებაო.—და გაჰკურცხლა ექიმმა.

იმ ღამეს ავათმყოფმა კირკაჟი სჭამა და გათენებამდისინ საიქიოს გამოესალმა. დილაზე ჰექიმი მივიდა. ცოლმა მიუტირა, რაც სატირელი ჰქონდა. ექიმმა ჰკითხა, წუხელის რა აჭამეო.

დედაკაცმა უთხრა, კირკაჟიო.

— ოჰ, დედაკაცო, როგორ გაგიჟდი და კირკაჟი აჭამე!

— ბატონო, წუხელის არ იყო, ნება მიბოძეთ.

— ეჰ! ღვთის ნება ყოფილა, ერთ დღეს მაინც მოკვდებოდა.

რასაკვირველია, ამ სახით ექიმები ძალიან წაახალისებენ ხალხს, რომ ავათმყოფობაში ექიმების წამლობა ირჩიონ, მკითხავებთან და ხატის კართან სიარულსა.

განთქმული იურისტი. იურისტი იმისთანა კაცსა ჰქვიან, ვინც კანონების ცოდნაში განთქმულია და ყოველივე სწავლა, რაც საზოგადოების წესიერებას, გაწყობილებას შეეხება, იცის ზედ მიწევნითა. ამ გვარი კაცები ჩვენში ძალიან გამოსადეგნი არიან და განათლების შემოტანაში თავიანთი წილი უდევთ.

ერთი ამ გვარი კაცი რაღაც საქმეზედ იყო ქალაქს გარეთა. იმ დროს ერთ სოფელში გლეხებს რაღაცა ყრილობა ჰქონიათ მოხელეების ამორჩევაზედ, თუ სხვა საქმეზე. როგორც ყოველთვის კრებას შეშვენის არამც თუ ჩვენში, არამედ პირველ განათლებულ ქვეყნებშიაც, ამ ყრილობაში დიდი აყალმაყალი და აურზაური ყოფილა. იურისტმა ესე იგი ყოვლის კანონის მცოდნე კაცმა არც აქეთ, არც იქით, იფიქრა ეს უწესობააო, აჯანყებააო. შეაკრევინა რამდენიმე გლეხი და გაგზავნა, საცა საჭირო იყო. ამბობენ ამაზე ბევრი უცინიათ. მაგრამ რა სასაცილოა? სასოფლო გამგეობის წესი და ხალხის ყრილობის რიგი რომ არ იცოდეს კაცმა, განა იურისტობის სახელი ჩამოერთმევა! სადა აქვს

ევეაში საზოგადოებას აუხსნან, თუ რამდენათ დიდი სასარგებლოა ამისთანა შკოლების გახსნა“.

სამეცნიერო ნაწილი.

ფერი როგორც ნიშანი ჯიშისა.

თეთრი ფერი ამტკიცებს ერთის მხრით იმასა, რომ ცხოველი დიდი ხანია, მოშინაურებულია და მეორეს მხრით ამტკიცებს სისუსტესა და სინაზესა. შავი ფერი ღონეს და შეძლებულობას ნიშნავს.

ანგლიურ მარბიელ ცხენებში სულ რძესავით თეთრი ფერისა რომ გამოსულიყოს, ამბათაც არ გაგონილა; არაბი ამბობს, რომ ამისთანა ფერის ცხენი სახმარი არ არისო და მხოლოდ ურიის საჯდომიაო. მაგრამ ეს ფერი მაინც და მაინც ევროპიულ ცხენის ჯიშებში ძალიან გავრცელებულია. ნორვეგიაში ამ ფერის ცხენი ბევრია. ისპანიაშიაც ბევრია თუმცა ზურგზე შავი ზოლი გადაუყვება და ისპანიიდგან გადასული ჯიში სამხრეთის ამერიკაშიაც გაშენებულია.

ლურჯი ცხენები სიბერეში თეთრდებიან; საკვირველია, რომ ამ ფერის ცხენები კეიცობაში რუხები და თითქმის შავები იბადებიან; ამ გვარი თვისება სჭირთ ლურჯ კურდღლებსა. ისინი სრულებით შავები იბადებიან: ზოგჯერ ბიმალაის მთაზე თეთრ კურდღლებში ერთი რომელიმე იბადება შავი ფერისა, მაგრამ ორი თვის განმავალობაში თოელივით თეთრდება.

რომაელი მდიდრები თეთრი ბატის ღვიძლს ამჯობინებდენ გემოთი სხვა ფერისაზე, ესეც შესანიშნავია, რომ თეთრი ფერი სხვა ფერებზე უფრო ხშირად გადადის მემკვიდრეობით. ერთმა მსწავლულმა კიდეც დაამტკიცა, რომ ბუნებით თეთრი ფერი ძვირათ გადაიცვლება.

პროფესორმა უაიმენმა აცნობა დარვინს რომ ვირგინიის შტატის ერთს მხარეში გასაკვირველია, რომ შავს გარდა სხვა ფერის ღორი არ იპოვებაო. როდესაც შეუდგა ამის მიზეზის გამოკვლევასა, შეიტყო რომ ღორები ამ მხარეში სჭამენ ერთგვარ საფერავის ძირსა, რომელიც ვარდის ფრათ უღებავს ძვლებს ღორებსაო და გარდა მაგისა სხვა ფერის ღორებს ჩლიქებს აყრევინებსო, რასაკვირველია, რომ მეოჯახენი ცდილობენ შავი ღორის მოშენებას, რადგან სხვა ფერებს ჩლიქები სცვივათ. ტარენტონის მაზრაში მხოლოდ შავ ცხვრებს აშენებენ, ამიტომ რომ იქ არის ერთგვარი მცენარე, რომელიც ორი კვირის განმავლობაში ჰკლავს თეთრს ცხვრებსა. ცხოველები დასში მხოლოდ აბრეშუმის ჭია ერჩევა ამ თვისებით. რომელნიც თეთრ პარკს იკეთებენ ის ჭიები უფრო უძლებენ ავათმყოფობასა, ვიდრე ყვითელი პარკის მკეთებელნი.

მალაგის გარემოში, როცა ყურძენ ნაცარი გაუჩნდა, თეთრი ყურძენი უფრო ჰხდებოდა; შავი ყურძენი კი თითქმის სრულებით არა ჰხდებოდა. ბევრს ჩვენშიაც შეუნიშნავს, რომ ნაცარს თეთრს ყურძენს უფრო აყრის, ვიდრე შავსა. ვესტინდიაში ამბობენ, რომ მხოლოდ შავი საქონელი კარგია სამუშაოთ. თეთრ პირუტყვს უფრო ედება მკბენარი მწერები და უფროც წვალობენ. ამასთანავე რამდენათაც უფრო თეთრია ცხოველი, იმდენათ უფრო ზარმაცი და ძაბუნიაო.

მგონია, ქორიც იმ აზრისა არის თეთრ მტრედზე, როგორც კაცი ამიტომ რომ სხვა და სხვა ფერებში თეთრს უფრო ემტერება. პერმატიე ამტკიცებს, რომ ქორი ყველაზე პირველათ თეთრს მტრედს მივარდებაო და იმისთვის ურჩევს არ მოაშენონ თეთრი ფერისანი იქ, სადაც ბევრი ქორიაო.

თეთრი ფერი ფრინველებზე და ცხოველებზე ნიშნავს მოშინაურებასა. შინაურ ცხოველებში ყველაზე გარეულათ ბატი და ფუტკარი ცხოვრობს, როგორც კი გარეული ცხოველი მოშინაურდება იმავე წამს თეთრი ფერიც გამოერევა. ბახმანი ამტკიცებს, რომ

იმდენი მოცალება რომ სოფლის კანონებიც დაისწავლოს.

მაგრამ ამ იურისტმა საქმის დაცვა, ესე იგი ადვოკატობა კი ძალიან იცისო. ისეთი დახელოვნებულია, რომ ვთქვათ ლუარსაბის საქმე აიღო დასაცველათ, იმისმა მოდავემ, პეტრემ რომ მომეტებული მისცეს, ისე დაიცამს ლუარსაბის საქმესა, რომ უეჭველათ პეტრემ მოიგოს.

ამ შემთხვევაში კარგი იქნებოდა, რომ ლუარსაბს შეეტყო და ფული პეტრესაზე მოემატებინა. მასუკან პეტრე მოუმატებდა და ჩვენი იურისტი ასე გავარჯიშდებოდა საქმეების დაცვაში, რომ საისტორიო ადვოკატობის სახელს დაიმკვიდრებდა.

ამ გვარ საქმეებით იურიდიკულ აზრებს გაავრცელებენ ჩვენში, მაშასადამე განათლება ამ მხრითაც წინ მიდის.

ერთი ღონის ძიებაც განათლების მოფენისათვის ბიბლიოთეკებია, ესე იგი საწიგნე სახლები, საიდგანაც შეიძლება წიგნების აღება და ან იქვე ან სახლში კითხვა. ჩვენში ამ გვარი საწიგნე სახლები ბევრგან არის სამსახურის კაცებისაგან დაწესებული. ესენი ძალიან ეწევიან, ვისაც წიგნის კითხვა ჰსურს.

ერთმა ჩვენმა მეგობარმა მიიღო ერთის ადგილიდგან წერილი, რომელშიაც ამ გვარ ბიბლიოთეკაზეა ლაპარაკი:

ჩაფჩიფაური, ნოემბრის 31-სა

უსაყვარელესო დ ა უსატრფოესო ძმაო X X!

პირველათ მრავალს მოკითხვას და სიყვარულს მოგახსენებ და თქვენს ბედნიერათ ცხოვრებას ყოველად შემძლებელს ღმერთსა ვთხოვ, და თუ ჩემს ვითარებას მოიხსენებთ, ღვთის მოწყალებით კარგათ გახლავარ ამ ჟამათა. მერე დიდის პატივის ცემით ხელს დაუკოცნი ბებია ჩემს მართასა და გულზე კოცნას მოვახსნებ და დეიდა ელენეს აგრეთვე პირზე ვაკოცებ და მაღალს ღმერთს შევაღაღადებ, რომ ქალს ბედი გამოუჩინოს. რასაკვირველია ქორწილში მეც არ გამომაკლებთ და შემატყობინებთ, თუ ის კაცი ჩაიგდეთ და ვინ იცის, ნიშნობა კიდეც გაათავეთ. ბოხოეთ თუ ნიშნობა გქონდათ, ნიშნობის შაქარი გამომიგზავნოთ, თორემ ალარ გადამირჩებით.

მერე, თუ ჩემ ვითარებას მოიხსენიებ კარგათა ვარ, ასე გავსუქდი, რომ ველარ მიცნობ, დროს კარგათ ვატარებ. ამ ზაფხულს სამწყერაოთ დავდიოდით და კარგათაც შევექეცით. ახლა დაზამთრდა ცოტა სკუჩნობაა. მინდოდა პატარა რამ წიგნი წამეკითხა, ვერსად ვერ ვიშოვნე, ჩემ ამხანაგებში ვიკითხე, ხომ არმვის არა გაქვთ მეთქი. იმათ მითხრეს, რომ უფროსთან მოიკითხე, იმას მოსდის წიგნებიო, ჩვენის შეკრებილის ფულებით გამოწერილიო. აქამდინ ჩემი უფროსი არ მენახა და ბარემ წავალ ვნახამ მეთქი და წიგნსაცა ვთხოვ. ესეც კარგი მიზეზი იყო, ვიფიქრე, ჩემზე იტყვის მეთქი კარგი გულის ყურიანი, ჭკვიანი ყმაწვილი კაცი ყოფილაო; თავის საქმესაც ასრულებს და განათლებასაც, ცდილობს, ერთი სიტყვით თავი მინდოდა მომეწონებინა. მივედი და ოთახში რომ შევედი, თვალები ამერია, მთელი ოთახი გატენილი იყო წიგნებით, ჟურნალებით და გაზეთებით, რომელს მოგიყვე, რა არ იყო აქა. ბოლოს შემოვიდა ჩემი უფროსი და კარგათ მიმიღო, მერე წიგნიცა ვთხოვე. ამაზე მაქო, რომ განათლების სურვილი გაქვსო, ეხლა განათლება საჭიროაო, ასეო, ისეო და ბოლოს მითხრა, რომ გამოგიგზავნი კაცის ხელითაო. ბაიარა კარგა ხანმა; მე ვთქვი დაავიწყდა მეთქი, მივედი კიდევა და ვთხოვე. სწორეთ გითხრა, რაღა დაგიმალო, ძალიან გამიწყრა. მე ხო თქვენ გამოწერილ წიგნებს არ შევჭამო, და თუნდა შევჭამო, იმდენი სიკეთე როგორ არ მიმიძღვისო, რომ თქვენ ესენი დამითმოთო. ბრძნობა არა გაქვთო, რომ იგრძნოთ უფროსის პატივის ცემაო. მე ძალიან შევწუხდი, მაშინვე ფეხქვეშ ჩავეგე, თუ ღმერთი გწამს, ნურას დროს ნუ იფიჭრებთ მაგასა მეთქი. ავდექი და გამოვედი ბოდიშითა და ხვეწნითა. შენ იფიქრე, აბა როგორ გაუბედავდი და შევაწუხებდი ამისთანა პატივცემულ კაცსა. მაგრამ ამან შემაცდინა, რომ ეს დალოცვილი თავის ტოლ კაცებს არ უჭერს წიგნებსა. მართლა და როგორ პატივსა სცემენ და ყველას, ხათრი აქვთ. აქ ჩვენში ძალიან განათლებულ კაცათ იცნობენ. ცოტა არ არის ჩემი ამხანაგები გულ-ნაკლებათ არიან, რომ ჩვენ ფულებით წიგნებს და გაზეთებს იბარებსო და თითონ კი ირჩენსო; მაგრამ თითო ნაკლულევანება ვის არა სჭირს. როგორც გითხარი პატივცემული კაცია, ყველასთვის მამაა და მფარველი.

დავშთები, თქვენი ბედნიერების მოსურნე

* *

ხელიდგან წასული საქმროები

მიბაძვა ბერანჟესი

(რუსულიდგან)

აი კიდევ მოდის ვარსკვლავი,
მოდის, მოდის.... აგერ ჰქრება!

— დედა ჩემო, მეუბნები, დროა საქმრო იშოვნეო.
— ბეუბნები, ქაჯან შვილო, მაგრამ ჭკუა ნუ კი მიგდის,
ამ საქმეში ანგარიში ყველა კარგი მოსძებნეო...
— დედა ჩემო, საქმრო მოდის, მოდის... აი ხელიდგან მიგვდის.

—

— ქაჯან, საქმრო გულით, საქმით მართალი და ჭკვიანია,
მაგრამ ჯიბეს არ უდევს რა, ოფლით, შრომით გამოდის ის.
ჩვენს სწორს ხალხში არ ერევა, უბრალო კაცის შვილია...
— დედი, საქმრო კიდევ მოდის, მოდის.... აი ხელიდგან მიგვდის!

—

— ქაჯან ჩინი პატარა აქვს, თუმც ქონებით მდიდარია;
მაგრამ ბალში, ხალხში ყოფნა მასთან მარცხვენს დიდათ მიმძიმს.
წუწკურ ცხოვრებას ატარებს, ტანთ-ცმა, ხურვა სძულებია...
— დედი, საქმრო კიდევ მოდის, მოდის... აი ხელიდგან მიგვდის!

—

— ქაჯან, ხედავ, ვაჭარია, ადლიხელში, დუქანში ზის!
ქნეინასთან რო წაიყვან, საქმეს სასირცხვოს გაგვიხდის...
ბულით და ჭკვით თუმც აქებენ, მიხვრა-მოხვრა კი არ იცის...
— დედი, საქმრო კიდევ მოდის, მოდის... აი ხელიდგან მიგვდის!

—

— აბა ქაჯან, გამოუდეგ, დაიჭირე ჩქარა ჩქარა!
მართალია, ბებერია, ავზნე, მკვდარსა ემსგავსება;
მაგრამ არის გვარის შვილი და მდიდარი,—არ უშავს რა!
არ გაუშვა! გული მითხრობს, ჩემს ქალს ხელით არ გასხლტება,
მეტყვის: „აგერ საქმრო მოდის, მოდის მოდის... და მე მრჩება!“

ზ. მახარაძე.

ლაზარეთებში დაკვირვებით ასში ორმოცდა ათ კაცს მემკვიდრეობით დაჰყვება ხოლმე ქარები. ძერძოობით ცხოვრებაში შენიშვნა კიდევ უფრო ამტკიცებს ამასა. ყველამ იცის, რომ შეშლილობა მემკვიდრეობით გადადის შთამომავლობაზე.

ანდრუ ნაიტმა და ლინდლეიმ შენიშნეს, რომ მცენარის ავათმყოფობა შთამომავლობაზე გადადის.

შემთხვევით გადასული რაიმე გვარა თვისება შთამომავლობაზე ზოგჯერ შესაძლებელია გახდეს იმ გვარ მკვიდრ ნიშნათ, რომლითაც განირჩევა ერთი გვაროვნობა მეორესთან, შემთხვევით დაიბადა ერთ ყურიანი თეთრი კურდღელი და იმის შემდეგ მთელს შთამომავლობას მარტო თითო ყურები დაჰყვა. უფრო ხშირად ამისთანა განსაკუთრებულს თვისებას სიჯუჯავეს ეტყვიან და ამის შთამომავლობაში სიმკვიდრე არა აქვს, მალე ჰქრება. ანდერსონი მეორე შემთხვევასაც მოგვითხრობს. ძაღლმა შობა სამ ფეხა ლეკვი და შემდეგ ამ სამ ფეხა ლეკვის შთამომავლობა სულ სამ ფეხიანები გამოვიდნენ. ყოფილა იმისთანა შემთხვევა რომ კაცი ექვს თითიანი დაბადებულა ხელზე და ფეხზე; მოუჭრიათ კიდეცა მეექვსე თითი, მაგრამ ხელ-მეორეთ ამოსვლიათ და ეს შთამომავლობაში გადასულა მემკვიდრეობით.

თუ ორივე დედ-მამას ერთი და იგივე ხასიათი აქვს მაში შთამომავლობაში უფრო ძლიერდება ეს ხასიათი. ამბობენ თემურ ლენგს ერთი მშვენიერი არაბული ულაქი ცხენი ჰყავდაო, რომელსაც ცალი თვალი დაემსო და ჯოგში გაუშვეს. იმისი კვიცები ყველა ცალთვალები იყვნენ. ერთ სახლობაში ქალი და კაცი როგორც კი ორმოცი წლისა შეიქმნებოდნენ, მაშინვე შეიშლებოდნენ.

მერინოსის მოდგმის ცხვარს ეტყვიან იმისთანა ცხვრის ჯიშსა, რომელიც პირველად ისპანიაში გააჩინეს და შემდეგ სხვა ევროპიის სახელმწიფოშიაც გამრავლდა. ამ ცხვარსა აქვს მშვენიერი, ძალიან წმინდა ბეწვი, თითქოს აბრეშუმს ქსელიანო. თუ მერინოსის ჯიში უბრალო ცხვრის ჯიშს დაერთოს შთამომავლობას მატყლი გაუკეთდება და შეიძლება ბეწვის სიკეთით კიდეც შეატყოს კაცმა რომელ მუხლზე დართვია მერინოსი უბრალო ცხვარსა. წმიდა მერინოსს ერთი აბაზის ოდნა ადგილზე ორმოცი, ან ორმოცდა რვა ათასი ბეწვი ამოსდის; უბრალო ცხვარსა ხუთი ათას ხუთასი ბეწვი ამოდის. ოთხს შთამომავლობაში უბრალო ცხვრის ჯიშს რომ მუდამ მერინოსი დაერთოს ხოლმე აბაზის ოდნა ადგილზე რვა ათასი ბეწვი დაეთვლება. ახლა მეოცე შთამომავლობაზე რომ დასთვალონ, ბეწვი ისეთი წმინდა დაჰყვება, რომ აბაზის ოდნა ალაგზე ოცდა შვიდი ათასი ბეწვი ამოსდის.

სიბეცე და შორს მხედველობაც ხშირად გადადის შთამომავლობაზე. უბრალო ხალხში ბეცი თითქმის არ არის.

მეხომალდენი ძალიან შორს მხედველნი არიან მაგრამ სამხრეთ ამერიკაში რომ კუნძულია სახელად ცეცხლის მიწა, იქაური მცხოვრები კიდევ უფრო შორს მხედველი გამოჩნდა.

ფეხის გულებზე კაცს კანი უსქელდება იმიტომ რომ მუდამ დადის, და ეს კანის სისქე მემკვიდრეობით გადადის, ასე რომ ახალ დაბადებულსაც ფეხის გულზე კანი უფრო სქელი აქვს, ვიდრე სხვა ალაგებზე.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ.

(ტფილისში მიღებული.)

პეტერბურგი, 19 ნოემბერს. მადრიდში ხალხი ჰყვიროდა: ვფიცავთ, რომ კარლეა იზაბელლა მის დღეში ეღარ მობრუნდება ისპანიის ტახტზე.

პეტერბურგი, 1 დეკემბერს. ათინიდგან 30 ნოემბერს. საბერძნეთის მთავრობა უარს ჰყოფს ოსმალეთის მოთხოვნილების ასრულებაზე, თუმცა ევროპის სახელმწიფოები ძალიან ცდილობენ, რომ საბერძნეთი დაამორჩილონ ამ მოთხოვნილებასა. ოსმალოს ელჩი აპირებს ათინადგან გამოსვლას.

პეტერბურგი, 30 ნოემბერს. რუსის ტელეგრაფის სააგენტო გვაცნობებს: რუსის საელჩო ყოველი ღონით ცდილობს საბერძნეთისა და ოსმალეთის სახელმწიფო არ აშალოს ერთმანერთთან, ან არ მოასპობინოს სავაჭრო კავშირი ოსმალეთსა და საბერძნეთს შუა. თესსალიაში ოსმალეთის მთავრობამ ორმოცი ათასი კაცი მოაგროვა.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

კავკასიის განყოფილების რუსულ ტეხნოლოგიური საზოგადოების თავსმჯდომარე მიიწვევს უუ. წევრთ-განყოფილებისა 7 დეკემბერს, შაბათს საღამოს 7 საათზე საზოგადო ყრილობაში (რომელიც იქნება სამაზრო ინჟინერის სამმართველოში).

ამ ყრილობაში მოხსენდება: 1) განყოფილების შემადგენელი საქმეები. 2) ამ ჟამის საქმენი. 3 ბანყოფილების სასარგებლოთ შეწირული ფული. 4) ბანყოფილების ურთიერთობრივი დამოკიდებულება საზოგადოებებთან. 5) სახელოსნო განათლებისათვის შედგენილი კამისიის მოხსენება და 6) ტეხნიკური საუბარნი, რომელნიცა უნდა იყვნენ 1869 წელსა.

ტფილისში ჯანღიანი (ბურუსიანი) დღეებია. 30 ნოემბერს თოვლმა მიწა დაჰფარა, მაგრამ მალე აიღო და ხმელი ყინვები დაიწყო; ტფილისის გარშემო კი თოვლია.

29 რიცხვიდგან ტფილისში ფოჩტები აღარ მოსულა რუსეთიდგან; ამისთვის პოლიტიკურს ნაწილში ახალი ამბავი ვერა დაებეჭდეთ რა „დროებაში“.

ბუდაურიდგან მოვიდა შემდეგი ტელეგრამმა. ღამით 27 ნოემბერს დიდი თოვლი მოვიდა. ბუდის მთიდგან და სხვა წვერებიდგან ზვავი ჩამოჰყარა. ბზა შეკრულია.

2 დეკემბერს ბუდაურიდგან გვაცნობებენ: დღეს მლეთიდგან ბუდაურამდის გზა გაიხსნა, მაგრამ გუდაურიდგან ქობამდის გზა ჯერ კიდევ შეკრულია. ამ მანძილზე ქვეით კაცებსაც ვეღარ უვლიათ.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ

(ᲛᲔᲓᲣᲐᲠᲓᲘ ᲚᲐᲑᲣᲚᲔᲓᲓᲒᲐᲜ).

ჩვენ უნდა გავშინჯოთ გარემოება წინა ეპოქებისა, რომ ცხადად გამოვიხატოთ მდგომარება მართლ-მსაჯულებისა ფრანციაში დიდი რევოლუციის დასაწყისში, ამიტომ რომ ფრანციის მმართებლობა მეთვრამეტე საუკუნეში იყო უწინდელი დროების ნაყოფი. ძველი ფრანციის მონარხია სცხოვრებდა მხოლოდ ძველი დროების ხსოვნებითა; რასაც წარსულ საუკუნეში ეძახოდნენ ბოროტებასა, და უსამართლოებასა, ესენი სულ იყვნენ ძველი ჩვეულებისაგან დანარჩენნი; ესენი სულ დარჩნენ ბოლოს მახედ და საპყრობილედ იმ ხალხთათვის, რომელთაც ამ დროს გამოიფხიზლეს. ხელმწიფეთა საუბედუროდ, რომელნიც იმყოფებოდნენ სიგარყვნილეში და სიჰუმეში, როგორც ლუდოვიკი XV, ხალხმა გამოიფხიზლა და მოინდომა განთავისუფლება ყოველი დამბრკოლებელი და მაენებელი მიზეზებისაგან, რომელნიც გზას უკრავდნენ წარმატებისას.

თუ სასამართლოები არ მიდიან დრო-და დრო წარმატებაში, მაშინ წესდებულებანი აბრკოლებენ და აწუხებენ საზოგადოებასა, და ხალხი იხრჩობა იმავე ჰაერითა, რომელიც უწინ აცხოვრებდა.

I.

სისხლის სამართალი.

საფუძველად სისხლის სამართლის წეს-დებულებისა ფრანციის კაროლებმა, ვალუა, მიიღეს ეკლესიისაგან ინკვიზიციული საქმის წარმოება. 1539-ში იმათ გამორიცხეს ძველი წესდებულებისაგან ყველა კანონი, რომელიც ჭქომაგობდა ეჭვ მიტანილსა (რომელსაც აბრალებენ რასმე), და ამის მაგიერად ფრანციას მისცეს ისეთი წესდებულებანი, რომ მხოლოდ მმართებლობის სასარგებლო იყო. აბ გვარი რიგით ეჭვ მიტანილი ირიცხებოდა დამნაშავედ და გამტყუნებულად; თუმცა კანონს შეეძლო გაემართლებინა, მაგრამ მიღებული იყო ყოველი ღონისძიება, რომ არა ჰქონოდა იმას დასარჩლება და ქომაგობა; ამასთან ცდილობდნენ, რომ ეჭვ მიტანილს გაემტყუნებინა თავი. საშინელი და საზარელი წესია ესა; ეს წესი შეიძლებოდა მხოლოდ იმ დროს, როდესაც აღარ იყო აზრი კერძო-პირის თავისუფლებისა და ნებისა. ხანდისხან ხალხი დიდის შეწუხების გამო ანებებს თავს თავისუფლებასა და თავის სასარგებლო კანონებსა; ეს არის იმ დროს, როდესაც რომელიმე ხალხს დაამარცხებენ, ანუ არა აქვს ღონე, რომ თავისით შეიმაგროს თავი და დგება სხვათა მპყრობელების ქვეშ. ეს არ არის გასაკვირველი. მაგრამ XVI საუკუნეში თავისუფლება სრულებით ამ დროებითი მიუცილებლობის მიზეზით შეიწროდა; ამისი მიზეზი იყო შეცდომილება იურისტებისა (სჯულების მცოდნეთა) და მოსამართლეთა, რომელნიც ამბობდნენ, რომ მმართებლობა შეუცდომელი არისო. იმათი აზრით სამოქალაქო სამართალი განირჩეოდა სისხლის სამართლისაგან: სამოქალაქო სამართალში მოვალეს არ ატანდნენ ძალას, რომ დაემტკიცებინა თავისი სიმართლე, ანუ ეთქო, რომ ეს ჩემი ვალიაო; და მსესხებელს უნდა დაემტკიცებინა თავისი სესხი; მაგრამ სისხლის სამართალში კი ეჭვ მიტანილს, ე. ი. რომელსაც მტრობენ და ერევიან თითონ უნდა გაემართლებინა თავი, ანუ დაემტკიცებინა თავისი უბრალეულობა. ამ გვარი რიგი იყო რევოლუციამდინ. ლუდოვიკი XIV უკაზით, რომლითაც 1670ში მოხდა ცვლილება 1539ში დაწესებული სამართლისა, სისხლის სამართალი გახდა უფრო სამძიმო.

რისაგან იყო ესა? ორი შეცდომილებისაგან, რომელნიც უბნელებდნენ გონებასა. პირველი იმათგანი იყო ისა, რომ კაროლი არის მამა თავისი ხალხისაო, რომელსაც აქვს სრული ნება იმათზედაო, და იმას შეუძლიან მისცეს ისეთი სამართალი, როგორსაც რაცხს საჭიროდ თავისის საკუთარი აზრით. ამ გვარად კაროლი არის სრული ბატონი თავისი ხალხისა, როგორც მამა რომის ეპოქისა იყო ბატონი თავისი შვილებისა; მაშა-სადამე კაროლს შეუძლიან მოექცეს ხალხს, როგორც თითონა სურს.

ახლანდელს დროში ჩვენა ვრაცხთ სისხლის დამნაშავედ მხოლოდ იმას, ვინც სხვათა უფლებას არღვევს; ჩვენ აღარა ვრაცხთ სისხლის დანაშაულად უმართებულებას, უსაქციელო მოქმედებას. მუშა ძალიან ცუდსა ჭამდის, რომ სმას მისდევს და თავის ცოლ-შვილს შიმშილით ხოცს, მაგრამ ის ღმერთთან არის დამნაშავე,—იმას სჯული არა ჰსჯის. მაგრამ წარსულს საუკუნეში არაევინ არ იჭვნეულობდა, რომ უსაქციელო მოქმედება უნდა დაისაჯოსო; ზნეობა შედიოდა წესდებულებაში; ამასა შეელოდა შეერთება საყდრისა და მმართებლობისა. კაროლი რაცხდა თავს ვალდებულად დაეტანებინა ძალა ხალხისათვის, რომ იმათ ეცათ პატივი საყდრის დარიგებისათვის. მაგრამ ამ დარიგებაებს ჰქონდათ ადგილი მხოლოდ საყდარში, სადაც ყველანი კარგი ზნისანი უნდა ყოფილიყვნენ; ამიტომაც გასაკვირველი არ არის, რომ იმას არ აზიარებენ, ანუ სრულებით აგდებენ საყდრიდგან, რომელსაც საყდრის კრებაში შესვლის დროს მიუღია ვალდებულება აღასრულოს საყდრის დარიგება და არ ასრულებს. როდესაც ეს დარიგება გადმოგაქვსთ მთელ სახელმწიფოზედ, მაშინ გამოდის ხელმწიფობის მაგიერ-ინკვიზიცია რომელიც ყოველში ერევა: რასაც მოქმედებთ, რასაც ლაპარაკობთ და კიდეც რასაცა ჰფიქრობთ. მაშინ მთელი მრეველი არის მოძღვრის ხელში, რომელიც არ არის სხვა ხალხზე უკეთესი ზნისა, თუმცა თავის თავს რაცხს მოვალედ განასამართლოს დანარჩენი ხალხი.

სწორეთ ეს ორი შეცდომილებანი—კაროლის ყოვლად შემძლებლობა და არევა ზნეობისა წესდებულებაში—იყვნენ ის საგნები, რომელნიც უბნელებდნენ გონებას წარსული საუკუნის იურისტებსა და მოსამართლეებსა. ჩვენის აზრით ძალიან ადვილი იყო, რომ ეფიქრებინათ, და კეთილის მოქმედი ლუდოვიკი XVI რომ დაჯდა ტახტზედ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს დროებში, გაესწორებინათ ეს შეცდომილება იმითა, რომ გამოეცვალათ სისხლის სამართლის წესდებულება.

ხარჯის გამოსაელის დროს უნდა მთელი ფრანციის წყობილება შეეცვალათ, მოეშალათ სააზნაუროსი და სამღვდელოების განსაკუთრებითი ხარისხები; ეს ძალიან სასარგებლო იქმნებოდა, მაგრამ ამაზედ დიდი დაბრკოლება მიიღეს. სისხლის სამართლის წესდებულების შეცვლა კი ძალიან ადვილად მოხდებოდა. ძველთაგანვე სისხლის სამართლის წესები ერთნაირი იყვნენ ყველასთვის: ეაჭრისთვის, მღვდლებისთვის და გლეხებისთვის; საჭირო იყო მოეშალათ განსაკუთრებითი სასამართლოები, და არა ხარისხები. საუბედუროდ პარლამენტი გახდა ამ გვარი რეფორმის წინააღმდეგი.

სათქმელად საწუხია, მაგრამ მთელს ფრანციის ისტორიაში ვერა ვპოვებთ ერთს მაგალითსა, რომ დიდი რეფორმები მომხდარიყვნენ სჯულების მცოდნეების თაოსნობით: ეს რეფორმები ხდებოდნენ იმათ წინააღმდეგად. იურისტები ეჩვევიან ცხოვრებას აწ მყო სჯულებით; ისინი ღაღადებენ ამ სჯულებზედ, და, თუმცა ძალიან გართული გონება აქვსთ, მაგრამ სცდებიან; იმათა ჰგონიათ, რომ ახლანდელი რიგის შეცვლას უთუოდ მოჰყვება რევოლუცია. ისინი ვერ ჰხედვენ, რომ ხელოსნობა და ცივილიზაცია (განათლება, გონების წარმატება) მიდიან წარმატებაში; ეს წარმატება წარსულს აზრებთან რიგდება. იურისტები სასარგებლონი არიან—ზომიერობას აგდებენ; ესენი არიან მომხრენი წარსულის უფლებისა, მაგრამ რაც კი შეეხება შემდეგ უფლებასა—ამაზე უწინ ისინი არ ლაპარაკობენ: ამ საქმეზედ ყველაზედ უწინ აზროობენ ის ხალხნი, რომელნიც არ არიან ოფიციალური მცოდნენი საქმისა და არიან გარეშენი. და როდესაც ესენი ამბობენ, რომ საზარელიაო კაცის დაპყრობილება რამდენიმე თვის განმავლობაში და არ მიცემა ნებისა, რომ იმას ჰყვანდეს ქომაგიო, ამაზედ, იურისტები ამბობენ: ფრანცია და ალარუსმა სთქვესო, რომ უამისობა არ იქნებაო. ალარგია, რომ ფილოსოფებიც იმ აზრისანი არიყნენ, როგორც პარლამენტი.

რა რეფორმებსა თხოულობდნენ ისინი? ყველა სისხლის სამართლის წესდებულებაში არიან: განყოფა დანაშაულთა, დაწესება მოსამართლეთა, სამართლის წარმოება და დასჯა.

დაეიწყოთ დანაშაულთა განყოფიდგან. ყველასა სჯერა, რომ დაცემა სხვათა სიცოცხლეზედ და ქონებაზედ არის დანაშაული. მარტო ეს განსაზღვრა დანაშაულისა რომ კმაროდეს, მაშინ ყველა ხალხის წესდებულება ერთმანერთს ეგვანებოდა; ამიტომ რომ ყვე-

ლგან სდევნიან სხვათა სიცოცხლეზე და ქონებაზედ დაცემასა. მაგრამ ამ დანაშაულებს გარდა ყოველ საზოგადოებაში არიან კიდევ სხვა დანაშაულები, რომელსაც ეძახიან პოლიტიკურსა; ამ სახელით ჩვენა ვცნობთ დანაშაულთა, რომელთა ძალა არის დამოკიდებული ხალხის წარმატებაზედ. მაგალითებრ ახლა სახევენ დანაშაულად, როდესაც ო	i კაci ერთად შეიყრება და დაიწყებს ლაპარაკს სარწმუნოებაზე, პოლიტიკაზე ანუ ლიტერატურაზედ; ცხადია, რომ ამ გვარი დამნაშაობა შეიძლებოდა ამოგვეშალა წესდებულებისაგან და ქვეყნიერობა ამითი არ შეიცვლებოდა. ეს დამნაშაობა არის მოგონილი თითონ წესდებულებისაგან და შეიძლება, რომ აღარ იყენენ; ამითი საზოგადოება სრულებით არ შეირყევა.

ჟუსმა, სოვეტნიკმა Orლეანის სასამართლოსამ, დასწერა კომენტარიები (აღსნა, განვითარება) ლუდოვიკი XIV და XV სისხლის სამართლის სჯულებისა; ის იყო შეუბრალებელი და სასტიკი, მაგრამ თითონაც არ ესმოდა, რომ რასაც ამბობდა, იყო საშინელება. ჟუსი ჰყოფს დანაშაულობას ოთხ გვარად: უპატიურობა ღვთის უმაღლესობისა, დაცემა სხვათა სიცოცხლეზე და ქონებაზე და დანაშაული საზოგადოების რიგის შეშლაზედ. პირველი რიგის დანაშაული უპატიურობა ღვთის უმაღლესობისა—სრულებით არ იმყოფება, მაგრამ რეოლუციამდე ამ გვარ დამნაშავეთ ძალიან საჯავდნენ. მაშინ ეგონათ, რომ კაცსა აქვს უფლება, რომ ღვთის ჯვარი ამოიყაროს კაცზედაო.

პირველი დანაშაული ღვთის უპატიურობაზე იყო ღვთის ვმომა. წმინდა ლუდოვიკის დროს ღვთის მგმობელს ენას უხვრეტდნენ, და თუ გაემეორებინა, მაშინ სრულებით სჭრიდნენ. 1724 პარლამენტმა გადასწყვიტა, რომ ერთი ჩოდარი დერბე მოეყვანათ ბრევის მოედანზედ პერანგა, კისერზე თოკი და ზედ ჰქონდა დაწერილი: უ ღ ვ თ ო, ს ა ძ ა გ ე ლ ი, ბ ი ლ წ ი ღ ვ თ ი ს მ გ მ ო ბ ე ლ ი. ამას მოსჭრეს ენა, მერე ცოცხალი დასწვეს და ნაცარი მისცეს ნიავსა.

1765-ში დასაჯეს ერთი ეკლესიის ნივთების შემაგინებელი, დე-ლა-ბარრი. ეს იყო ახალგაზდა აფიცერი ოცის წლისა, რომელსაც აბრალებდნენ უპატიურ სიმღერის მღერასა მარიამ მაგდალინაზე და, გარდა ამისა აბრალებდნენ, ვითომც იმას თავისის ხმლით დაეკუწნოს ხის ჯვარი აბბეველის ხიდზედ. იმას გარდაუწყვიტეს სიკვდილზე სამმა სამღვდელოს მოსამართლეებმა, რომელთაგანაც ერთი იმისი მტერი იყო, და მეორე ღორებით მოვაჭრე; იმათი გარდაწყვეტილობა დაამტკიცა პარლამენტმა. ამ დროს საჭიროც იყო ვოლტერის პროტესტანტები, რომ ამ საგანზე აებუნტებინა ფრანკიის საზოგადოება; მაგრამ ეს კანონი მოშალეს მხოლოდ რევოლუციის შემდეგ.

სარწმუნოების დანაშაულობაში ერია ცრუმორწმუნების (უკმაყოფილება სამღვთო წერილისა) განდევნილება. ლუდოვიკი XV რომ სრული წლოვანი შეიქმნა, მაშინ ახალგაზდა კაროლს უნდოდა, რომ ღვთის წყალობა და ლოცვა მიემხრა იმითა, რომ სდევნიდა ერეტიკებსა (სამღვთო წერილზე უკმაყოფილეთა). ეს იყო ცბიერი ანგარიში ღმერთთან. ამბობენ, რომ ლუდოვიკი XIV დროს ერთი სასახლეში მყოფი ქალი ამარხულებდა თავის მოსამსახურეებსა, რომ ამითი მოენანებინა თავისი ცოდვები. ლუდოვიკი XV-ც სწორედ ამ რიგად იქცეოდა, მხოლოდ იმისი საშუალება მეტი სასტიკი და საშინელი იყო. სრული წლოვანობის ღამის მოსალხენად უბრძანა, რომ პროტესტანტებმა თუ ყრილობა სადმე გამართეს, მაშინ დაისაჯებიანო—კაცები საუკუნოდ გალერებში, და ქალები თავის მოპარსვითა და მთელს სიცოცხლეში საპყრობილეში ყოფნით. და რომელი პასტორიც ილაპარაკებს ამ ყრილობაში, ის დაისჯება სიკვდილითაო.

სტალი, ერთი მწერალი ქალი, ამბობს თავის „ფრანკიის რევოლუციის ფიქრში“, რომ ემიგრანტებზედ კანონები ძალიან სასტიკნი და საზარელნი არიანო, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყოს ახალიო: ესენი თითქმის ისევ ის სჯულები არიან, რომელნიც დაწესებულ არიან პროტესტანტებზედო. სიკვდილით დასჯა პასტორებისა არის სიკვდილით დასჯა მღვდლებისა; საუკუნო გალერები პროტესტანტებისთვის არიან განდევნა ანუ სიკვდილით დასჯა იმათთვის, ვინც პროტესტანტებს სახლში მიიღებს. ეს სტალის აზრი ძალიანა სწყინდათ კაროლის მომხრეთ ტახტის ადგინების დროს მაგრამ სრული ნამდვილი კი არის.

1724 იყო კიდევ კანონი, რომელიც სდევნიდა იმ პროტესტანტებსა, რომელთაც სიკვდილის დროს არ უნდოდათ მიეღოთ წმინდა აღსარება. მღვდელს რომ მიეტანა ამბავი, მაშინვე გაუსამართლებელს ჰგზავნიდნენ საუკუნო გალერებში, თუ მორჩებოდა, მაშინ იმის გვამს აგდებდნენ და ქონებასაც სახელმწიფოთა სწერდნენ; გარდა ამისა ვინც უვლიდა, იმასაცა სჯიდნენ, რადგანაც ეჭვნეულობდნენ, რომ ის ამაგრებდა ავათმყოფსაო. რესტავრაციის დროსაც გამოვიდა კანონი, რომელიც სჯიდა სიკვდილით იმას, ვინც მოიპარავდა საყდრის ნივთსა.

სასჯელი კაროლის უპატიურობაზე ახლა გამოიცვალა. მაგრამ ძველ დროს კაროლი იყო სამღვთო პირი და, ამიტომ ვინც იმის უფლებას შეეხებოდა, იმას ჰსჯიდნენ, როგორც ღვთის მგმობელსა. ვინც მანეთსა შლიდა რომელზედაც კაროლის სახე იყო გამოსახული, იმასა სჯიდნენ სიკვდილითა, რადგანაც სახე კაროლის იყო შემლილი. მომპარავი კაროლის სახლში ნივთისა, თუნდა მცირედი ყოფილიყო, მაინც ისჯებოდა სიკვდილითა. პარლამენტი დიდხანს ფიქრობდა: უნდა დაისაჯოს ქურდობა Palais de iustice-ში, თუ არაო? მაგრამ ერთმა ვინმე რომ სასამართლოს სხდომაში ამოაცალოს თავის ამხანაგს ხელცახოცი, ისიც უნდა შერიცხონ ქურდობად კაროლის სახლში? უნდა ესთქვათ პარლამენტის სიმეცნიერე, რომ ამაზედ უარი სთქვა;—ვოლტერი კი გვარწმუნებს, რომ ბევრი მინახავს დასჯილი სიკვდილით, კაროლის სახლში ქურდობაზეო.

ახლა გადავიდეთ დანაშაულობაზე, რომელნიც არიან კერძო პირთა შესახებნი.

გავშინჯოთ დუელი. ლუდოვიკმა XIV მოიწადინა დუელი როგორმე მოჰკვეთოს, და 1679 გამოსცა ამაზე საშინელი სასტიკი ბრძანება. მალ-მალ ეკითხულობთ, რომ ამ გვარი სასტიკობა მიუცილებელი იყოვო დუელის მოკვეთისათვის; მაშინდელი პოეტები აქებდნენ ლუდოვიკ XIV-სა; მაგრამ ჩვენ არ გვესმის სარგებლობა ამ გვარი სასტიკობისა. დუელის მოკვეთისათვის მხოლოდ უსაფუძვლო აზრები თავიანთ ხარისხის დამცირებაზე და სახელის გატეხაზე უნდა დაეშალად,—სხვა არაფერი. ჩვენა ვხედავთ, რომ დუელი ჩვეულებიდგან გადის, როდესაც ხალხი გონებაში ვარდება; მაგრამ მაშინ ლუდოვიკის ბძანებას არაფერი ღონე არა ჰქონდა. მართლადაც კაცი რას შეეპოვება სამართლის სასტიკობასა, რადესაც თავი აქვს გაწირული.

სჯული ძალიან შეუწყნარებელი იყო თითონ კოროლსაც არ აძლევდა ნებას, რომ დამნაშავესათვის ეპატიებინა; უთუოდ უნდა შეუნანებლივ დაესაჯათ სიკვდილითა. ბარდა ამისა რაგინდ გვიან მომხდარიყო დუელი, მაინც არავის ეპატიებოდა, და ყოველთვის სტაცებდნენ ხელსა. მოწმებსაც სასტიკად სჯიდნენ. მაგრამ, საკვირველი კი ეს არის, რომ სჯულმა ვერ მოკვეთა დუელი.

ჩვენ უნდა გვიკვირდეს სახელი ერთის დანაშაულისა: ეს არის მოტაცება მიმზიდველობით, ანუ ცდუნებით. უწინ აზნაურთ სრულებით არა სცხევნოდათ ძალით მოტაცება მდიდარი ქალებისა და ზედ ჯვარის დაწერა. ბიუსი-რაბუტენმა მოიტაცა მირამიონა, რომელიც შემდეგ შედგა მონოზნად და დააფუძვნა პარიჟში მონასტერი მირამიონებისა. ლუდოვიკი XIV სჯიდა სიკვდილით ძალით მომტაცსა. მაშინ სხვა საშუალება იპოვეს მდიდარ ქალებზე ჯვარის დასაწერად: იმისათვის, რომ თითონ ქალებმავე მოიწადინონ გაქცევა კაცთან, კაცი ეფერებოდა ქალს უკანასკნელს ღონემდინ და ასიამოვნებდა; აი ეძახდნენ მოტაცებას მიმზიდველობით. ეს დანაშაული შეიძლებოდა მომხდარიყო, როგორც კაცისაგან, აგრეთვე ქალისაგან: იყენენ ისეთი ახალგაზდა ქალები, რომელთაც შეეძლოთ მოეტაცნათ ჭაბუკი გერცოგემი და ჯვარი დაეწერინებინათ. ამ შემთხვევაშიაც სჯული სჯიდა სიკვდილით დამნაშავესა; ამ გვარად წადილი სრულდებოდა: დამნაშავეს სიკვდილის გამო ქორწილი წყდებოდა და აღარ იყო. მისაც არა სჯიდნენ სიკვდილით, იმისი ქორწილი მაინც ჰუქმდებოდა, და შეილები იმისი ირიცხებოდნენ გაუპატივრებულად, საძაგლად, მურტლად. ანგლიის სჯული ამ კანონს რაცხდა ძალიან სასტიკად; იქაც სიკვდილითა სჯიდნენ მომტაცსა, მაგრამ კანონს ემატებოდა სიტყვები: „და თუ შენს შეცდომას გაასწორებ,—თუ ის, ვინც მოიტაცე, მოინდომებს შენს ცოლობასა, მაშინ მაგივრად იმისა, რომ მოგკლათ—დაგაქორწინებთ“, და მართლადაც აქორწინებდნენ. რადგანაც ლუდოვიკი XV ანგლიის პარლამენტზე უფრო წმინდა ზნისა იყო, ამიტომ გაახლა უწინდელი კანონი უფრო მომატებული სასტიკობით. იმისი უქაზი ამ საგანზე ბოლოვდებოდა ამ უსაფუძვლო სიტყვებითა: კანონი სჯის მოტაცებას, როგორც საშუალებას ჯვარის წერისას; და თუ ვინმე მოიტაცებდა და ჯვარს არ იწერდა, იმას არა სჯიდნენ და არც რაცხდნენ დამნაშავედ. აქედგან გამოდიოდა, რომ პატიოსანი კაცი, სიყვარულით აღტაცებული, ისჯებოდა სიკვდილითა; და უსვინიდისო, ძუნწი, რომელიც მაცთურებით მოეტყუელებინა და გაეუნამუსებინა საბრალო ქალი, ის კი კანონით წმინდა და მართალი იყო.

სახაზინო განცხადება.

აქეთა ქუაკაზის პრიკაზის განკარგულებით, ბორის უეზდის სასამართლოში წელს 9 დეკემბერს იქნება დანიშნული ვაჭრობა და კანონისამებრ მეორედ ვაჭრობა ივანე და ნიკოლოზ დავითის ძეთა სულხანოვების მამულის, გაყიდვაზე, რომელიც მდებარებს ბორის უეზდში სოფელს ბროცეტს, რადგანაც ესენი არ აძლევენ დარჩომილს ფულს იმ სესხისას, რომელიც ვალად აქვს პრიკაზიდგან 1859-ში 6,000 მან.

ვისაცა ჰსურდეს ამ მამულის ყიდვა, იმათ შეუძლიანთ ნახონ სია ბორის უეზდის სასამართლოში.

საქართველოს და იმერეთის წმ. მმართებელი სინოდის კანტორა ამითი აცხადებს, რომ დეკემბრის ოთხში კანტორის სასამართლოში იქნება დანიშნული ზეპირად ვაჭრობა ორაგულის დაჭერისა ტკვარში და ალაგვში, და ამავე თვის რვაში მეორედ ვაჭრობა; დროს ბავრცელებულნი და დაბეჭდილი კანვერტებიც მიიღებიან; პირობაები ამ ფოდრათისა შეიძლება ნახონ კანტორის სასამართლოში ყოველ დღე ცხრა საათიდგან ორამდე, დღე-ასწაულთ გარდა. ვისაცა სურს ზეპირად ვაჭრობაში შემოსვლა, იმათ თხოვნასთან, რომელიც უნდა იყოს დაწერილი მანეთიან ქაღალდზედ, უნდა წარმოადგინონ მოწმობა თავიანთი წოდებისა და გირაოებიცა; თუ გირაოები სახლში სდგანან, მაშინ ცეცხლის შიშის აცილებისა მოწმობაცა; ეს ყოველი უნდა წარმოადგინონ ვაჭრობისა და ვაჭრობის წინადღეებში. დაბეჭდილნი განცხადებანი უნდა გამოგზავნონ უკანასკნელ 12 საათამდე ვაჭრობის დღესა. ეს განცხადებანი უნდა იყვნენ დაწერილნი მანეთიან ქაღალდზედ და იმ ფორმითა, როგორიც არის 1909 სტ. მეათე ტომის პირველ ნაწილში ახსნილი. ფასი უნდა იყოს დაწერილი ასოებითა, და უნდა იყოს გამოცხადებული შიგა, რომ ამ ფასად ვიღებ და უნდა მოგიტანო პირობის შეუცვლელად. ამასთან უნდა წარმოსდგეს მოწმობა წოდებისა და გირაოები. თუ ამ გვარად არ მოიქცევიან, იმათი თხოვნა არ იქნება შეწყნარებული. დაბეჭდილი განცხადებანი, თუ გამოგზავნეს ზეპირ ვაჭრობაში, არ მიიღებიან, აგრეთვე არ მიიღება არა გვარი ახალი პირობა იმის შემდეგ, რაკი მეორედ დაფასება გათავდება.

განცხადება.

გამოვიდა № 39 „სასოფლო გაზეთისა“, სადაც დაბეჭდილია მაგალითი, თუ როგორ აღირიცხება დასასხნელი სესხი გლეხებისათვის ტფილისის გუბერნიაში. ეს მაგალითი ძალიან ნათლად ჰხსნის მამულების დახსნის წესსა მთავრობის შემწეობით.

ეს ნომერი „სასოფლო გაზეთისა“ ისყიდება ენციკლოპედიის და ალადათოვის საწიგნე მაგაზინში ტფილისს. ჭუთაის—ლომ. შევარდენაძის მაგაზინში. აქვე ისყიდება ის ნომრები, სადაც დაბეჭდილია დასახნელი პირობის შედგენა და მებატონის განცხადება გლეხებისადმი მამულების დახსნაზე ტფილისის გუბერნიაში.

ფასი ნომრისა ექვსი შაური.

„დროების“ წარსული ნომრის დარიგება დაგვიანდა სხვა და სხვა მიზეზისაგამო, რომელიცა არ იყო დამოკიდებული რედაქციაზე.

ყმაწვილს კაცს, რომელსაც დაუსრულებია სწავლა პარიჟში, ჰსურს ასწავლოს ფრანცუზული ენა.

ადრესი „დროების“ რედაქციაში იკითხე.

საბიბლიოგრაფიო ცნობა.

ბუნების კარი,

საყმაწვილო წიგნი დაბალ კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. ბოგებაშვილისაგან, ბეჭდიდგან გამოვიდა; წიგნს შეადგენენ სხვა და სხვა სტატიები: ბოტანიკური, ზოოლოგიური, ანთროპოლოგიური, ფიზიკური და გეოგრაფიული. საზოგადო გეოგრაფიის ცნობების შემდეგ დაბეჭდილია საქართველოს გეოგრაფია წიგნი თავდება საყმაწვილო ლექსებითა და მასთან დამატებულია საქართველოს კარტა, რომლის მაშტაბი 40 ვერსია ერთ დიუმზედ. სიერცით წიგნი ცამეტ ბეჭდის თაბახს იპყრობს თაბასის 12/0 ტანისასა. „ბუნების კარი“ ისყიდება ამ ხნობით მხოლოდ სასულიერო სემინარიაში, ი. ბოგებაშვილისასა და უ. ვართანოვის წიგნების მაღაზიაში.—ფასი ყველგან 65 კაპეიკია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6-го декабря, 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.